# საქართველოს რესპუბლიკა

წელიწადი პირველი

ფასი 40 კაპ.

## საქართველოს მთავრობის მოამბე

ყოველდღიური გაზეთი

№ 5 სამშაბათი, 30 ივლისი 1918 წ. № 5



მთავრობის მოამბე ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

„საქართველოს რესპუბლიკა"

ღირს ერთი თვით 10 მ., ცალკე ნომერი ყველგან 40 კაპ.
სავალდებულო განცხადებანი დადგენილი ნიხრით, კერძო განცხადებანი შეთანხმებით.
გაზეთზე ხელის მოწერა მიიღება დილის 10—3 საათამდე.
(ბარონის ქუჩა № 6, ტელეფონი—182.


სახალხო განათლების სამინისტრო ამით აცხადებს, რომ რადგანაც მომავალი სასწავლო წლისთვის საჭიროა გამოირკვეს რიცხვი იმ არა ქართველ მოწაფეთა, რომელნიც, როგორც საქართველოს მოქალაქეთა შვილები, სწავლის გასაგრძობათ სახელმწიფო საშუალო სასწავლებლებში დარჩებიან, წინადადება ეძლევათ არა ქართველ მოწაფეთა მშობლებს ამა წლის 5 აგვისტომდი განცხადება შეიტანონ სათანადო სასწავლებლებში, სურთ თუ არა მათ, როგორც საქართველოს მოქალაქეთ (ქვეშევრდომთ) თავისი შვილები სწავლის მისაღებათ საქართველოს საშუალო სასწავლებლებში დასტოვონ, სადაც სწავლიბა მათს სამშობლო ენაზე იწარმოებს. (4—4)

# განკარგულება
## სახალხო განათლების მინისტრისა.

1918 წ. ივლისის 26, № 876 სწავლის დაწყებისა და შეწყვეტის შესახებ 1918/9 წ. ივნისამდე.

სასწავლო წელი ყველა ტიპის სასწავლებელში დაიწყოს მიმდინარე წლის 20 ნოემბერს და გაგრძელდეს 1919 წლის 20 ივნისამდე.

სახალხო განათლების მინისტრი: გ. ლასხიშვილი.
დედანთან სწორია
საქმის მწარმოებელი: ი. ხარაძე.

3—2


## მიწათმოქმედების მინისტრის რწმუნებული

ქარაიაზის სატიბში თივის შეგროვებისა,

ამით აცხადებს, რომ იძლევა ფოდრათებს ქარაიაზის სატიბში თივის შესაგროვებლად პირობების გაგება შეიძლება რწმუნებულის კანცელარიაში, მიწათმოქმედების სამინისტრო, 10—2 საათ. გარდა უქმეებისა. (2—2)

ყველასათვის საჭირო და სასარგებლო წიგნი
(25 წლის ნაშრომი)

## უცხო სიტყვათა ლექსიკონი

შედგენილი იოსებ იმედაშვილის-მიერ, მეორე შევსებულ-შესწორებული გამოცემა, უკვე დაიბეჭდა და გამოვიდა. შეიცავს 1,100 გვ., აწყობილ-დაბეჭდილია კორპუსით, უშვენოდ, კარგს ქაღალდზე, დართული აქვს უცხო ანდაზა-წინადადებანი, საუცხოო ყდით (უყდოთაც არის). ხელის მომწერთ გვაცნობონ თავისი მისამართები. წიგნი გასასყიდად მოიპოვება. მსურველთ მიმართონ „თეატრი და ცხოვრება-ს რედაქციაში (თბილისი, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ, მეწიგნეების რიგზე, ბაზრის ქ. № 20, სახ. არჯევანიძისა). (5—1)


## ოფიციალური განყოფილება

### ბრძანება.

საქართველოს რესპუბლიკის მხედრობას.
1918 წ. ივლისის 24,
№

რადგანაც მეზობელ სახელმწიფოებიდგან შესწყდა საქართველოს რესპუბლიკაში სურსათ-სანოვაგის შემოტანა, ქვეყნად გამეფდა დაუცხრომელი და ყოველ-გვარ წეს-რიგის დამრღვევი ანარქია, იმდენად დაშინდა და შესწუხდა ხალხი წარსულ წლის მოუსავლობით და საძვირით, რომ ველარ გაუბედნია ახალი მოსავლიდგან გაჰყიდოს რამე. ამასთანავე ჩვენი ქვეყნის კლიმატიური პირობებიც ნებას იძლევა შევამოკლოთ ჯარისთვის საჭირო ზოგიერთი სურსათის რაოდენობა. საქართველოს რესპუბლიკის ჯარისათვის შემუშავებულ იქმნა პურის დაკერძისთვის საჭირო სანოვაგის და ცხენების საკვების ახალი ძირითადი ნორმები ამის გამო ვბრძანებ:

1. გაუქმებულ იქმნეს დღემდის გამოცემული ყველა ბრძანებანი პურის და კერძისთვის საჭირო სანოვაგის და ცხენების საკვების რაოდენობის შესახებ.

2. შემუშავებული სურსათ — სანოვაგის რაოდენობა ან მისი ღირებულება ფულად უნდა ეძლიოს ჯარს ხაზინიდგან იმის და მიხედვით, თუ რამდენი კაცი, ან ცხენი საზრდოობდა ამა თუ იმ ჯარის ნაწილში,

3. მოისპოს ფულის გაცემა ჯარის კაცებზედ ნორმებზე ნაკლებ სურსათის მოხმარებისთვის.

4. თუ ვინიცობაა რომელიმე სურსათის შოვნა შეუძლებელი შეიქმნა ბაზარზედ, ერთგვარი სურსათის მაგიერ შეძენილი უნდა იქმნეს მეორე გვარი სურსათი, დაახლოვებით იმავე ღირებულებისა, როგორც ეს განმარტებულია სამხედრო დადგენილებითა კრებულის მე XIX წიგნის 1174 სტატიაში—1915 წლის გამოცემის დედაქციით.

5. ჯარის კაცთა საკვების ხარჯიდგან, ან ერთი სურსათის მეორეთი შეცვლის გამო გადარჩენილი ფული არ უნდა დაურიგდეს ფულად ჯარის კაცებს, არამედ უნდა ჩაირიცხოს საარტელო (საძმო) თანხაში რათა მოხმარდეს იგი საჭმელის გაუმჯობესობისთვის.

6. ფული, რომელიც გადარჩება ცხენების საკვებს რაიმე მიზეზით, მაგალითად, ჯარისთვის დამტკიცებულ და ბაზრის ფასების შორის განსხვავებისაგან ერთი საკვების მეორეთი შეცვლით, ან რაიმე გარემოებით გამოწვეულ საკვების შემცირებით, უნდა ჩაირიცხოს ჯარის სამეურნეო თანხაში.

7. მოისპოს მეომრებზე თამბაქოს გაცემა ხაზინის ხარჯით. დაევალოს საინტენდანტო სურსათის საწყობებს იქონიონ დაბალი ხარისხის პაპიროსი და თამბაქო (მახორკა), რათა მსურველ ჯარის-კაცო მიეცეს საშუალება [illegible]

8. ეძლიოს თვითეულ ჯარის კაცს თვეში $^1/_2$ გირ. საპონი.

9. ქვემოხსენებული ძირითადი ნორმები სურსათ - სანოვაგის რაოდენობით მიღებულ იქმნას ჯარისათვის სახელმძღვანელოდ ამა წლის პირველ აგვისტოდგან.

დედანზე ხელს აწერს სამხედრო მინისტრი გრ. გიორგაძე.

### ნ უ ს ხ ა.

საქართველოს ჯარისთვის შემუშავებული ნორმები პურის და კერძისთვის საჭირო სანოვაგის და ცხენების საკვების რაოდენობა.

ა. პურის რაოდენობა.

| №№ | სურსათის სახელი. | საქართველოს ჯარისათვის შემუშავებული ნორმები. | შენიშვნა. |
|---|---|---|---|
| 1 | ფქვილი . . . . | 1 გირ. 48 მის. | |
| 2 | ან პური . . . . | 2 გირ. | |
| 3 | ან ორცხობილა . | 1 გირ. 32 მის. | |
| 4 | ბურღული-ხორბლისა, სამინდისა, ლობიო (კირკაჟი) ცულის პირა და სხვა . | 24 მის. | |

ბ. კერძისთვის საჭირო სანოვაგის როდენობა.

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | ხორცი. . . . . | $^1/_2$ გირ. | |
| 2 | ბრინჯი, მაკარონი, მუხუდო, ცერცვი, ლობიო, ცულის პირა . . . . . . | 8 მის. | |
| 3 | ცხიმი (სიმსუქნე) ან ზეთი. . . . | 6 მის. | |
| 4 | შაქარი . . . . | 8 მის. | |
| 5 | ჩაი . . . . . . | $^1/_2$ მის. | |
| 6 | ბოსტნეულობა ხმელი . . . . . . | 4 მის. | |
| 7 | ბოსტნეულობა ახალი . . . . . . | 60 მის. | |
| 8 | პირპილი. . . . | $^1/_6$ მის. | |
| 9 | მარილი . . . . | 8 მის. | |
| 10 | წვენის მოსაკიდებელი ფქვილი . . | 2 მის. | |

გ. ცხენების საკვების ნორმა.

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | ქერი, ანუ შვრია . | 12 გირ. | |
| 2 | თივა ან ბზე . . | 10 გირ. | |

საქართველოს რესპუბლიკის მხედრობის მომარაგების უფროსი, გენერალ მაიორი,
საინტენდანტო ნაწილის გამგე, გენერალ მაიორი ყ ი ფ შ ი ძ ე.

### ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მთავრობისა.

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველ. მინისტრისა.

20 ივლისი, 1918 წელი.

№ 1.

ქ. თბილისი.

ინიშნებიან:

მ თ ა ვ ა რ ს ა ბ ა ჟ ო შ ი: ბათუმის საბაჟოს კონტროლიორი ლეონიდე სიმონის-ძე ქიქოძე—გამგის თანაშემწედ; თბილისის საბაჟოს კონტროლიორი მელიტონ კონსტანტინეს-ძე ნადარეიშვილი — უფროს კონტროლიორად; ბათუმის საბაჟოს საწყობის გამგის თანაშემწე დომენტი ლუკას-ძე დოლაბერიძე და თბილისის საწყობის ზედამხედველი პავლე იაკობის-ძე ეზოვი—ორივე უმცროს კონტროლიორად; კანდიდატათ ჩარიცხული რუსეთის საბაჟო დეპარტამენტის უწყებაში, კანდიდატი იურიდიული საგნებისა პეტრე ივანეს-ძე ფოთოლიშვილი—მდივნის უფროს თანაშემწეთ; ჯებრაილის საბაჟოს კანცელიარიის მოხელე გიორგი ნიკოლოზის-ძე სიხარულიძე და ამავე ინსპექციის კანცელიარიის მოხელე ზაქარია ნიკოლოზის-ძე თუშ-აბრამაშვილი—სამთავე უმცროს თანაშემწედ მდივნისა; ჯულფის საბაჟოს საწყობის გამგის თანაშემწე მიხეილ ნიკოლოზის-ძე მჭედლიშვილი—ხაზინადრად; ორდუბათის საბაჟოს გამგე პროკოფი მოსეს-ძე ჯულელი—ბუღალტრად; თბილისის საბაჟოს კანცელარიის მოხელე ნიკოლოზ ისააკის-ძე გიორგობიანი—ბუღალტერის უფროს თანაშემწედ; თბილისის საბაჟოს კანცელარიის მოხელენი: ანტონ გიორგის-ძე წულუკიძე, კვიროსი მაქსიმეს-ძე ხომერიკი, ყოფილნი ასხაბადის საბაჟოს კანცელარიის მოხელეებათ: კალისტრატე მიხეილის-ძე ფაჩულია და შალვა სერაფიონის-ძე ჩიხლაძე—ოთხთავე ბუღალტრის უმცროსს თანაშემწედ; თბილისის საბაჟოს თარჯიმანი ვიარესლავი ნესტორის-ძე ალშიბაია—საწყობის ზედამხედველად.

ფ ო თ ი ს ს ა ბ ა ჟ ო შ ი: ბათუმის საბაჟოს გემთა ზედამხედველი ალექსანდრე მანუჩარის-ძე მიქაძე—გამგის თანაშემწედ; დროებით აღმასრულებლად გამგის თანაშემწეობისა; ბათუმის საბაჟოს ბუღალტერი იასონი ბეჟანის-ძე საბახტარიშვილი — უფროს კონტროლიორად; ფოთის საბაჟოს გამგე ქსანთე ალექსის-ძე დგებუაძე; თანახმად თავის სურვილისა—უფროს კონტროლიორად; ფოთის საბაჟოს საწყობის და გემთა ზედამხედველის თანაშემწე ვასილ მიხეილის-ძე კლდიაშვილი—მდივნად; ბათუმის საბაჟოს კანცელარიის მოხელე ალექსანდრე ნესტორის-ძე მგელაძე — ბუღალტრად; ბუღალტერი ფოთის საბაჟოსი ანტონ ქრისტეფორეს-ძე კარა-მურზა—ბუღალტრის უფროს თანაშემწედ; ფოთის საბაჟოს კანცელარიის მოხელენი: არქიპო ბეჟანის-ძე კიზირია, მიხეილ დავითის-ძე რიგვავა და ყოფილი კონტროლიორი ეროზის კავშირისა ვასილი დიმიტრის-ძე ჩახნაშვილი—უმცროს თანაშემწედ ბუღალტრისა და მდივნისა; ბათუმის საბაჟოს გემთა ზედამხედველის თანაშემწე ვიქტორ ნიკოლოზის-ძე დიდია—გემის ზედამხედველად; ფოთის საბაჟოს თარჯიმანი ალექსანდრე მიხეილის-ძე ხაინდრავა და ბათუმის საბაჟოს კანცელარიის მოხელე კონსტანტინე გრიგოლის-ძე ელიავა—ორთავე გემთა ზე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამხედველის თანაშემწედ; ჯულფის საბაჟოს საწყობის ზედამხედველის თანაშემწე ნესტორ ბესსარიონის-ძე ელიავა—საწყობის ზედამხედველად.

სოხუმის საბაჟოში: ბათუმის საბაჟოს საწყობის ზედამხედველი სოფრომი ივანეს-ძე კიკნაძე—გამგედ; ალიშარის საბაჟოს გამგის თანაშემწე ალექსანდრე დავითის-ძე დეკანოზიშვილი—ბუღალტრად, იგივე მდივნად; თბილისის საბაჟოს კანცელარიის მოხელე ალექსანდრე ავთანდილის-ძე ბაგრატოვი—უმცროს თანაშემწედ ბუღალტრისა და მდივნისა. ანაკლიის საბაჟოს გამგებელი ასლანის-ძე მგელაძე—საწყობის და გემების ზედამხედველად.

ნატანების საბაჟოში: ბათუმის საბაჟოს გემების ზედამხედველის თანაშემწე ივანე კონსტანტინეს ძე მჭედლიშვილი—გამგედ; ჯულფის საბაჟოს საწყობის ზედამხედველი სიმონ მაკარის ძე მესხი—საწყობის ზედამხედველად.

გუდაუთის საბაჟოში: სოხუმის საბაჟოს გამგის თანაშემწე პავლე შერმანდინის ძე მჟონია—გამგედ.

ოჩემჩირის საბაჟოში: გამგე ამავე საბაჟოსი დავით გიტოსძე გოგიტიძე—გამგედ.

ახალ-ათონის საბაჟოში: სოხუმის საბაჟოს გამგის თანაშემწე იასონ ლუარსაბი ძე გეგელაშვილი—გამგედ, ყოფილი მსახური საერობო კავშირისა იოსებ ბეჟანის ძე გუგუშვილი—თანაშემწედ გამგისა.

ანაკლიის საბაჟოში: ბათუმის საბაჟოს ხაზინადარი ყარამან ქაიხოსროსძე მგელაძე—გამგედ.

სალ-ოღლის საბაჟოში: გარანიცკის საბაჟოს საწყობის თანაშემწე სტეფანე ივანეს ძე თიროშვილი—გამგედ.

ყველა ზემოაღნიშნული მოხელე ირიცხება შტატში „10“ ივლისის 1918 წლიდგან.

### შტატს გარეშე რჩებიან:

თბილისის საბაჟოდან: კონტროლიორები: დულოვი პლატონ ივანეს ძე, მოლჩანოვი არკადი ალექსანდრეს ძე, პოპოვი გენადი ნიკოლოზის ძე, ხაზინადარი ფურმანი ივანე მარკოზის ძე, კანცელიარიის მოხელენი: რუსსო, ნაზაროვისა, სოკოლოვისა და შახნაზაროვი და თბილისის საბაჟოს გამგე გიორგი კონსტანტინეს ძე თუმანოვი.

ჩივალოვი პავლე თედორეს ძე: კონტროლიორები: რუსსოვი დიმიტრი გიორგის ძე და დახნოვიჩი გრიგოლ სტეფანეს ძე, მდივანი ოლესნიცკი სიმონ ანტონის ძე, ბუღალტრის თანაშემწენი: ბოგდან ათანასეს ძე ტერ-ასტვაცატუროვი და ვლადისლავ ლიუდვიგის ძე რადვილლოვიჩი, გემების ზედამხედველის თანაშემწენი: ზნაჩკოვსკი, პრუხნიცკი, ბურლაკოვი და დემიანოვიჩი. თარჯიმანი ევროპიული ენებისა ღნიაშვილი ნიკოლოზ ანტონის ძე, კანცელარიის მოხელენი: სოშტარია, იავლენსკი, რომანოვსკი, გოლოვჩენკო, შჩერბინა, ბელლოკონოვი, ბულკინი, მატერი, კალნიცკი, ზდრავომისლოვისა, პეტროვსკისა, რადეცკისა, მიხაილინა და ბაბილუა.

ფოთის საბაჟოდან: გემების და საწყობების ზედამხედველი კონსტანტინოვი ვიქტორ ვიქტორის ძე, კანცელიარიის მოხელენი: ზავადა ივანე ლუკას ძე, ლუკიანოვისა იულია ვლადიმერის ასული, შაპოშნიკოვი ალექსანდრე დიმიტრის ძე.

კავკასიის საბაჟოების ინსპექტორის სამართველოდგან: ინსპექტორი ლებედევი ალექსი პავლეს ძე, მისითანაშემწენი: ლოპატო ივანე ვიკენტის ძე, სნეჟკოვი არკადი სერგეის ძე და რომანოვი ვასილი ალექსანდრეს ძე, ექსპერტ-ტეხნიკი იანჩუროვიჩი სტეფანე ფელიქსის ძე, ხუროთ-მოძღვარი ჯანუმიანცი ასტვაცატურ მოსესის ძე, მდივანი ოსტოია-პოდვისოცკი ბორის კონსტანტინეს ძე, მდივნის თანაშემწე მალევიჩი ვლადიმერ ვასილის ძე, კანცელიარიის მოხელენი: პავლოვიჩი ბოლესლავ ლეონარდის ძე, პიკაევი ვასილი პავლეს ძე, ივანოვისა ელისაბედ ფერდინანდის ასული და მენშიკოვისა ანნა ვლადიმერის ასული

ახალი-გაგრის საბაჟოდან გამგე სოლოვიოვი ალექსანდრე ნიკოლოზისძე.

სოხუმის საბაჟოდგან: კანცელიარის მოხელენი: რუდნევი ვასილი ვასილისძე და შუაქრიშვილისა მარიამ გიორგის ასული.

ოჩემჩირისსაბაჟოდან: გამგის თანაშემწე ლაუდანსკი ალექსი ივანესძე და კანცელიარიის მოხელე დოლინსკი ვასილ ბოლესლავის ძე.

გუდაუთის საბაჟოდან: გამგე ნირკოვი პავლეივანეს ძერ ძე და კანცელარიის მოხელე როგინი ვლადიმერ ნიკოლოზის ძე.

ახალ-ათონის საბაჟოდან: გამგე სერებრიაკოვი ვლადიმე თედორეს ძე.

ორჯოხის საბაჟოდან: გამგის თანაშემწე კალინევიჩი ალექსანდრე თედორეს ძე, კანცელარიის მოხელე ტიმოშენკო სიმონ ტერენტის ძე.

ლიმანის საბაჟოდან: გამგე კოროლკოვი მიხეილ ნიკოლოზის ძე.

ოლთისის საბაჟოდან: კანცელარიის მოხელესიროვატკინი ივანე ალექსანდრეს ძე.

ყველა ზემო აღნიშნული მოხელენი რჩებიან შტატს გარეშე „20“ ივლისის 1918 წელიდან

ხელს აწერს ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი გ. ჟურული და საბაჟოების გამგე ზ. მიქაძე.

დედანთან სწორეა: მდივანი ი. ბურჯანაძე.

---

### ბრძანება
საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრისა.

1918 წ. 25 ივლისი, № 14, ქ. თბილისი.

სამმართველოს დაწესებულებათა დებულების მე-446 მუხლის თანახმად, ის პირები ვინც უკანასკნელ სამის წლის განმავლობაში ირიცხებოდენ თბილისის და ქუთაისის საოლქო სასამართლოთა ოლქებში საპატიო მომრიგებელ მოსამართლეებად, რჩებიან იმავ თანამდებობაზე იმ დრომდე, ვიდრე საქართველოს ტერიტორიაზე შემოღებულ იქნება ადგილობრივ სასამართლოს გარდაქმნის კანონი.

დედანს ხელს აწერს იუსტიციის მინისტრი შ. ალექსი-მესხიშვილი,

---

### ბრძანება
საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრისა.

1918 წ. 25 ივლისი, № 15, ქ. თბილისი.

შტატს გარეშე რჩება: იუსტიციის მინისტრის კანცელარიის საქმის მწარმოებლის თანაშემწე იულიან ლასხიშვილი ამა მკათათვის 25-დან სალიკვიდაციო ფულის მიცემით თანახმად საქართველოს ეროვნულ საბჭოს 1918 წ ივლისის 3-ს დადგენილებისა.

დედანს ხელს აწერს იუსტიციის მინისტრი შ. ალექსი-მესხიშვილი.

---

### ბრძანება
საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრისა.

1918 წ. ივლისის 25, № 16, ქ. თბილისი.

შტატს გარეშე რჩებიან: იუსტიციის სამინისტროს საქმის მწარმოებელი ალექსანდრე სერნონნა ბორისის ასული ზელენინსკა 1918 წ. ივლისის 25-დან სალიკვიდაციო ფულის მიცემით თანახმად საქართველოს ეროვნულ საბჭოს 1918 წ. ივლისის 3-ის დადგენილებისა.

ინიშნება: თბილისის სასამართლო პალატის ოლქის ნაფიცი ვექილი გიორგი თევდორეს ძე ჟორდანია იუსტიციის სამინისტროს იურის-კონსულდ 1918 წლის ივლისის 24-დან.

იგზავნება იუსტიციის სამინისტროს საქმის მწარმოებლის თანამდებობის ასასრულებლად ბორის მიხეილის ძე ავალიანი 1918 წლის ივლისის 25-დან.

დედანს ხელს აწერს იუსტიციის მინისტრი შ. ალექსი-მესხიშვილი.

---

### ბრძანება
საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრისა.

ივლისი 1918 წ. № 17 ქ. თბილისი.

დანიშნულ არიან: თავიანთის თხოვნის თანახმად, ქუთაისის ოლქის სასამართლოს თავმჯდომარის ამხანაგი სოლომონ მიქელაძე თბილისის სასამართლო პალატის წევრად და სენაკის სასამართლოს მომრიგებელ-მოსამართლე მიხეილ თუმანიშვილი ქუთაისის ოლქის სასამართლოს წევრად საადმინისტრაციო განყოფილებაში.

იუსტიციის მინისტრი შ. ალექსი-მესხიშვილი.

---

### ბრძანება
საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროსა.

ივლისი 1918 წ. ქ. თბილისი, № 18.

ინიშნება: ლეჩხუმის სამომრიგებლო ნაწილის მომრიგებელ მოსამართლის თანაშემწე ტერენტი გორგაძე ყვირილის მომრიგებელ მოსამართლეთ და თბილისის სასამართლო პალატის ოლქის ნაფიცი ვექილი ვასილ ტატიშვილი—ლეჩხუმის მომრიგებელ მოსამართლედ.

გადაიყვანებიან: ქუთაისის სამაზრო მომრიგებელ ნაწილის მომრიგებელ მოსამრთლის თანაშემწე, ბაღდადის საგამომძიებლო უბნის გამგე ბორის დევიძე—ყვირილის სამომრიგებლო ნაწილის მომრიგებელ მოსამართლის თანაშემწედ, ჭიათურის საგამომძიებლო სასამართლო უბნის გამგედ.

ქუთაისის სამაზრო სამომრიგებლო ნაწილის მომრიგებელ მოსამართლის თანაშემწე გრიგოლ დადიანი ქუთაისის ქალაქის სამომრიგებლო ნაწილის მომრიგებელ მოსამართლის თანაშემწედ სამომრიგებლო საქმეების გასარჩევად.

ზუგდიდის სამომრიგებლო ნაწილის მომრიგებელ მოსამართლის თანაშემწე, წალენჯიხის საგამომძიებლო უბნის გამგე გედეონ გაბუნია—ქუთაისის სამაზრო სამომრიგებლო ნაწილის მომრიგებელ მოსამართლის თანაშემწედ, ხონის სამომრიგებლო უბნის გამგედ.

იუსტიციის მინისტრი შ. ალექსი-მესხიშვილი.

---

## მთავრობის დადგენილება ხორბლეულობის თავისუფალ ვაჭრობის შესახებ.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ ამა 24 ივლისის სხდომაზე დაადგინა.

1) გამოცხადდეს საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებში, გარდა ბორჩალოს მაზრისა, პურის, სიმინდის და სხვა ყოველნაირი ხორბლეულობის თავისუფლება ვაჭრობისა და გადატან-გადმოტანისა.

2) ხორბლეულობის შემოტანა საქართველოში საზღვრ-გარეთიდან განთავისუფლებულ იქმნას საბაჟო გადასახადებიდან, ხოლო საზღვარ-გარეთ გატანა კი აკრძალული დარჩეს.

4) ყველა სასურსათო კომიტეტი, როგორც საგუბერნიო, ისე სამაზრო, საქალაქო, სარაიონო თუ სასოფლო დღეიდან ცხადდება სავსებით გიუქმებულად და მათ ერთმევათ უფლება ამიერიდან მოახდინონ რაიმე განკარგულება.

4) სასურსათო სამინისტროს ევალება მოახდინოს სრული ლიკვიდაცია: სასურსათო საგუბერნიო კომიტეტებისა დღეიდან ერთი თვის განმავლობაში, ხოლო დანარჩენი კომიტეტებისა დღეიდან ერთი კვირის განმავლობაში.

5) დაევალოს შინაგან საქმეთა და სასურსათო სამინისტროებს აწარმოვონ ენერგიული ბრძოლა პურის, სიმინდის პურის, სიმინდის და სხვა ხორბლეულობის გადამალვისა და საზოგადოდ სპეკულიაციის წინააღმდეგ, მოახდინოს გადამალული ხორბლეულობის კონფისკაცია, მისი პატრონი კი მიეცეს სისხლის სამართალში.

6) შინაგან საქმეთა, გზათა და სასურსათო სამინისტროები საჩქაროდ ახდენენ განკარგულებას, რომ ეს დადგენილება ყოველგან რესპუბლიკის საზღვრებში დაუყოვნებლივ სრულეში მოყვანილი იქმნას.

მთავრობის თამჯდომარე ნ. ჟორდანია.

საქმეთა მმართველი ს. ჯაფარიძე.

---

## გენერ. მაზნიაშვილის დეპეშა.

27 ივლისს, საღამოთი, სამხედრო მინისტრის სახელზე გენერალ მაზნიაშვილისაგან შემდეგი დეპეშა მოვიდა:

„გაცნობებთ, რომ 26 ივლისს, 20 საათზე, ჩემმა ჯარმა 12 საათის ცხარე ბრძოლის შემდეგ აიღო ქ. ტუაფსე. მოპირდაპირე სასტიკად გვეწინააღმდეგებოდა; ყოველივე გორაკის აღებაც კი ბრძოლით გვიხდებოდა. მრავალი ტყვეები წამოვიყვანეთ, წავართვით 4 ზარბაზანი, 12 ტყვიისმფრქვეველი, აურებელი სასროლი მასალა და ტყვიები, სხვა-და-სხვა ზომის ხომალდები, ავტომობილები, 5 ორთქმავალი ვაგონებით და უამრავი საინტენდანტო ქონება. დანარჩენი ნადავლი ირკვევა. ჩვენი დანაკლისი მცირეა. არტილერიის მარჯვე მოქმედების გამო მხოლოდ ათი მეომარი დაგვიჭრეს და ერთი მოგვიკლეს. მსუბუქათ დაჭრილთა შორის არიან მესამე ქართული პოლკის შტ.-კაპიტანი დოლაბერიძე და წითელგვარდიელი პორუჩიკი ნოვიკოვი. მოწინააღმდეგე, რიცხვით 1.200 კაცი, ჯავშნიანი ვაგონებით და ავტომობილებით არმავირის მხარისაკენ გაიქცა. გატყობინებთ რა ყოველავე ამას, ვშუამდგომლობ დააჯილდოვოთ: პოლკოვნიკი ამირეჯიბი გენერალ-მაიორის ხარისხით; მეექვსე ბატარეის უფროსი კაპიტანი იაშვილი — პოდპოლკოვნიკის ხარისხით და 1-ლ ბატარეის უფროსი შტ.-კაპიტანი ქუთათელაძე—კაპიტანის ხარისხით. № 679“.

## სამხედრო მინისტრის პასუხი.

სამხედრო მინისტრმა 28 ივლისს გენერ. მაზნიაშვილს შემდეგი საპასუხო დეპეშა გაუგზავნა:

„რესპუბლიკის ერთგულ სამსახურისა და გმირულ მოქმედებისათვის თქვენს მეომრებს გადაეცით მადლობა. პოლკოვნიკ ამირაჯიბს ვუბოძებ გენერალ-მაიორობას; მეექვსე ბატარეის უფროსს კაპიტან იაშვილს— პოდპოლკოვნიკობას და პირველ ბატარეის უფროსს შტ.-კაპიტან ქუთათელაძეს კაპიტანის ხარისხით. № 3489“.

საქათველოს რესპუბლიკის სამხედრო მინისტრი გრ. გიორგაძე.

სწორია: სამხედრო სამინისტროს კანცელარიის განყოფილების უფროსი გიორგაძე.

---

## სომხის ეროვნული საბჭო და მთავრობა.

„ჰორიზონის“ სიტყვით, სომხის ეროვნული საბჭო და მთავრობა ერევანში მივიდა 19 ივლისს საღამოს 9 საათზე. გზაზედ უზუნთალიდან დაწყებული ერევანამდე მთავრობას ხვდებოდნენ საპატივცემო რაზმები. სომხის ეროვნული საბჭო დიდი პატივისცემით მიიღეს ერევანში. აგრეთვე დიდი სიხარულით მიიღეს ერევნის მოქალაქეებმა და ორგანიზაციებმა გერმანიის დიპლომატიის წარმომადგენლები.

მთავრობის შემადგენლობა: რ. ქაჯაზნუნი—მთავრობის თავმჯდომარე, ა. ხატისიანი—გარეშე საქმეთა მინისტრი, არამ—შინაგან საქმეთა მინისტრი.

პარლამენტი გაიხსნება ამ დღეებში.

ცენტრალური და ერევნის ეროვნულ საბჭოების შეერთებულმა კრებამ ხმის უმრავლესობით წინააღმდეგ სომხის სახალხო პარტიისა შემდეგი დაადგინა:

სომხის ეროვნული საბჭო თავის წევრთა რიცხვის სამჯერ გადიდებით გადაკეთდეს „ჰაიასტანის (სომხეთის) საბჭოთ“,

გარდა ამისა ამ კრებაზე მიღებული იქმნა, რომ სხვა ერების წარმომადგენლებიც ამ თავიდანვე შევიდნენ კანონმდებელ ორგანოში პროპორციონალურ არჩევნების პრინციპის მიხედვით. ამ მიზნით არჩეულია საგანგებო კომისია.

## არა ოფიციალური განყოფილება

თბილისი, 30 ივლისი.

ჩვენმა მთავრობამ ეროვნულ საბჭოს ნებართვით გერმანელი მრჩეველები და ინსტრუქტორები მოიწვია სამხედრო, საფინანსო და სასურსათო საქმეთა მოსაწესრიგებლად. მარტო საკუთარ ძალებზე დაყრდნობილს ჩვენს ნორჩს რესპუბლიკას ძალიან უჭირს ევროპის დაუხმარებლათ სახელმწიფოს ყველა საჭირბოროტო საკითხი მოაგვაროს. და ეს არც იმდენათ გასაკვირალია თანამედროვე საერთაშორისო და შინაური ცხოვრების პირობებში.

უფრო დიდი, უფრო მდიდარი და დიდითის მოდგმისა სახელმწიფოებიც ჩავარდნილან შევიწროებულ მდგომარეობაში და ამა თუ იმ სახით მიუმართავსთ თავის მოკავშირე მეზობლებისათვის დასახმარებლათ. რომელი ჭკუათმყოფელი და კეთილსინდისიერი კაცი გაამტყუნებს პატარა საქართველოს, რომ ასეთ შემთხვევაში საკუთარი სახელმწიფოებრიობის დასაცავათ და გასაძლიერებლათ თავის დღევანდელ საერთაშორისო მფარველ და მოკავშირეს მიმართოს ხელის მოსამართავად!

ამიტომ ჩვენი მთავრობის და ეროვნულ საბჭოს გადაწყვეტილება აუცილებელი საჭიროების და სახელმწიფოებრივი გონიერების ნაყოფია. ჩვენი სამშობლოსთვის მრავალი ამოსარჩევი გზა არ არის აწეწილ-დაწეწილ საქმეთა გამოსასწორებლათ. მისი სამხედრო და ეკონომიური მდგომარეობა თხოულობს რადიკალურ ზომების მიღებას. მთავრობაც ამ გარემოებას უწევს ანგარიშს და მოქმედებს ისე, როგორც უკარნახებს მას საქართველოს არსებობის და დემოკრატიული განვითარების ინტერესები.

აი აქ ჩვეულებრივათ ასისინდა ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის „უანგარიშო, ულევი“ მტერი და პირ მოთნე „მეგობარი“, რომელსაც ჩვენშივე გაუკეთებია ბუნაგი. ესენი უმთავრესათ მოსული და გადამთიელი ხალხია, რომელიც ჩვენი უბედურობის დროს ხელმძღვანელობს ანდაზით: თუ შენი არ იხარჯებოდეს, ლხინს ნუ დაერიდებიო.

მათ ეკლად ეჩხირებათ საქართველოს დამოუკიდებლობა, ჩვენი დემოკრატიული წყობილება, ამიტომ უხარიათ, უფრო მეტადაც უხარიათ ყოველი ჩვენი საზიანო და სახიფათო ამბავი. ამავე დროს ქვეყნის მოსატყუებლათ მათ, რუს-სომეხ ნაციონალისტებს, ვითამ “ინტერნაციონალისტების“ ქურქი წამოუხსამსთ და დაგვჩხავიან შავბედითათ—გერმანიის ინსტრუქტორების მოწვევა დასასრულის დასაწყისია, დამოუკიდებლობა დაიღუპება.

გერმანელი იმპერიალისტები გაგიბატონ-ნდებიანო.

პირველყოვლისა ჩვენი თავისუფლება, ჩვენი დამოუკიდებლობა ჩვენ უფრო გვიყვარს, ვინემ არამკითხე გადამთიელებს, რომლებიც ცუდის და მოღალატურის მიზნით დაძრწიან რესპუბლიკის ნიადაგზე და შინ უტიფრათ „აზამბარელი თათარივით“ ღორის თავს გვეცილებიან. ტყუილა-უბრალოთ თავს ნუ იწუხებენ ჩვენზე ფარისევლური ზრუნვით.

ხოლო ვისაც საქართველოს მოქალაქობა სურს და შერჩენია კიდევ მოქალაქეობრივი კეთილ შობილების ნატამალი, ახლავე ხელი უნდა აიღოს საქართველოს თავისუფლების მტრობაზე და საუკუნოთ გამოეთხოვოს ჩვენში თავის ლიდმპყრობელურ ბატონობის აღდგენაზე ოცნებობას.

გარდა ამისა ჩვენი დაუძინებელი მტრები სულ იმის ფიქრში არიან, რომ გერმანიას წაგვკიდონ და რაც შეიძლება მით მალე გამოიწვიონ ჩვენი სახელმწიფოებრივი დაღუპვა და რეაქციის გაძლიერება.

ტყუილი იმედია.

პროვოკაცია თვით პროვოკატორებს მოუღებს ბოლოს. ვინც შენატრის საქართველოს რესპუბლიკის დაშლას, მას ან თავის უძლურ ბრაზ-მოსული ბოღმა დაამრჩობს, ან გაძლიერებული საქართველოს დემოკრატიული სახელმწიფოებრივობის ისარი გოუგმირავს გულს.

საქართველოს არც საშინაო და არც საერთაშორისო მდგომარეობა არ არის ისე უნუგეშო, რომ მტერთა სულთა სწრაფვა ასრულდეს და დემოკრატიული დამოუკიდებელი საქართველო დაიღუპოს. გერმანია სრულიადაც არ არის დაინტერესებული არად აქციოს ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი და საერთაშორისო ვინაობა.

ჩვენი მთავრობა და ევროპაში წასული ჩვენი დელეგაცია ა. ჩხენკელის მეთაურობით ყველაფერს მოიმოქმედებენ, რომ შინ და გარეთ საქართველოში ასაქართველოს და მისმა დემოკრატიამ თავისუფლათ და დაუბრკოლებლივ აშენოს და ამტკიცოს თავისუფლების და სამართლიანობის საქმე.

ერთი ყოველ შემთხვევაში დაიმახსოვრონ ჩვენი თავისუფლების და დამოუკიდებლობის გაუქმების ყველა ჯურის მოსურნემ: მონობას გამოვეთხოვეთ, არასოდეს აღარ დავუბრუნდებით, პოლიტიკურს და ეროვნულ თავისუფლებას ვედარავის დავუთმობთ!

## საქართველოს ეროვნული საბჭო

მკათათვის 26 სხდომა

თავმჯდომარეობს ნ. ს. ჩხეიძე.

ნაშუადღევის 1 საათსა და 10 წუთზე ისმის თავმჯდომარის ზარის რეკვა.

თავმჯდომარე. გთხოვთ დაბრძანდეთ. კრება გახსნილი გახლავთ. ვთხოვ მდივანს წაიკითხოს დღიური წესრიგი.

ი. აბაკელია (კითხულობს) განცხადებანი საქართველოს ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარეს. გვაქვს პატივი ვაუწყოთ საქართველოს ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარეს, რომ ამიერიდან უპარტიოთა ფრაქცია უნდა იწოდებოდეს დამოუკიდებელ, კრიტიკის მწარმოებელ ჯგუფად. ეს განცხადება შემოტანილია უპარტიოთა ფრაქციის მიერ.

ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარეს. განცხადება ეროვნულ-დემოკრატიულ ფრაქციისა.

თვითმართველობის კომისიაში დიმიტრი ჯავახიშვილის ნაცვლად, რომელმაც საბჭოს წევრობას თავი დაანება, ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქცია ასახელებს ალ ასათიანს.

ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარეს ჯანმრთელობის კომისიაში დ. ჯავახიშვილის ნაცვლად ეროვნულ-დემოკრატული ფრაქცია ასახელებს ვასილ წერეთელს.

ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარეს. საქართველოს ეროვნულსაბჭოს სოციალისტ-რევოლიუციონერთა ფრაქცია გაცნობებთ ახალ კანდიდატთა სიას ეროვნულ საბჭოს წევრთ სხვა და სხვა კომისიებში.

სამხედრო კომისიაში: იოსებ გობეჩია—ნაცვლად ვლადიმერ გობეჩიასი,

საფინანსო კომისიაში: ილ. კაკაბაძე—დამატებითი წევრი.

მუშათა კომსიაში: ვასილ ბარბაქაძის ნაცვლად ლეო შენგელია.

ადგილობრივ მართველობის და თვითმართველობის კომისიაში ნ. ჩიგოგიძე ნაცვლად ივ. ჩერქეზიშვილისა.

განათლების კომისიაში: მიხ. ფაჩუაშვილი ნაც. გრ. ნათაძისა.

ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარეს.

ეროვნულ-დემოკრატიულ ფრაქციის განცხადება. საფინანსო კომისიაში ნაცვლად ნიკო ნიკოლაძისა, რომელიც საზღვარ-გარედ იმყოფება, ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქცია ასახელებს ალ. ასათიანს.

### ცნობა

შემოსულ კანონ-პროექტის შესახებ.

1) მთავრობის წინადადებით გამოიცეს დეკრეტი, რომლითაც მთავრობას უფლება მიეცემა მოახდინოს ლიკვიდაცია იმ დაწესებულებებისა, რომელნიც საქართველოს რესპუბლიკის ტერტორიაზე მოქმედებენ, როგორც საერთო დაწესებულებანი საქართველოს, რუსეთისა, კავკასიის და ამიერ-კავკასიისათვის, ან როგორც საერთო დაწესებულებანი საქართველოს და რომელიმე ზემოაღნიშნულ ქვეყნებისა.

გადაეცეს იურიდიულ კომისიას.

თავმჯდომარე. ამ კანონ-პროექტის შესახებ ან და ამ დეკრეტის შესახებ, როგორც მას აქ მთავრობა უწოდებს, მთავრობა სთხოვს საბჭოს, რომ საჩქაროდ განიხილოს. ამიტომ შეიძლება თქვენ ინებოთ და ვადა დაუნიშნოთ იურიდიულ კომისიას, რომ დროზე წარმოადგინოს თავის აზრი.

არსენიძე. ლიკვიდაცია რაც ჩქარა მოხდება, იმდენად სასარგებლოა ჩვენთვის, ამიტომ მოვითხოვოთ, რომ ეს კანონ-პროექტი შემდეგ სხდომაზე მივიღოთ.

თავმჯდომარე. ვის ნებას კიდევ სიტყვა ამის შესახებ. თუ მსურველი არ არის დადასტურდა, რომ მომავალ კრებაზე საფინანსო კომისიამ თავის აზრი უნდა წარმოგვიდგინოს.

აბაკელია (განაგრძობს კითხვას). შინაგან საქმეთა მინისტრის კანონ-პროექტი 100 ათას მან. გადადების შესახებ ქუთაისის გუბერნიის საქონლის ჭირთან მებრძოლ სადგურისათვის, შრატის დასამზადებლად და მსხვილ რქოსან საქონელის სასყიდლად.

გადაეცეს საფინანსო კომისიას.

ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარეს.

1. დაევალოს მთავრობას ანარქიის გამო საერობო არჩევნების დროებით გადადება,

დაევალოს თვითმმართველობის კომისიას...

გ. ვეშაპელი. ვისია წინადადება?

ი აბაკელია. მოგახსენებთ, ბატონებო!

ი. აბაკელია (განაგრძობს კითხვას). გადასინჯვა და შესწორება ამიერ-კავკასიის კომისარიატის მიერ დამტკიცებულ დებულებათა შესახებ საერობო დაწესებულებებისა ამიერ-კავკასიაში და სასოფლო, სამაზრო და საგუბერნიო საერობო ხმოსნების არჩევისა.

საკანონმდებლო წინადადება ეროვნულ დემოკრატიულ ფრაქციის მიერ.

გადაეცეს თვითმმართველობის კომისიას.

თავმჯდომარე. როგორც სჩანს ამას თვით ავტორნი უწოდებენ ასეთ სახელს: საკანონმდებლო წინადადება. ამას აქვს ხასიათი კანონ-პროექტისა. ამიტომ საფინანსო კომისიას გადავცემთ და იგი თავის აზრს მოგახსენებთ.

### დღიური წეს-რიგი.

აბაკელია. 1. საბოლოვო რედაქცია კანონ-პროექტისა გზათა სამინისტროსათვის ავანსად ერთი მილიონი მანეთის მიცემა სანაპირო რკინის-გზის სალიკვიდაციო ხარჯების გასაწევად. მომხსენებელია საბჭოს წევრი რ. არსენიძე.

2. საბოლოვო რედაქცია კანონ-პროექტისა ოფიციალურ განცხადების დაბეჭვდის შესახებ. მომხსენებელი რ. არსენიძე.

3. კანონ-პროექტი ამიერ-კავკასიის გამიჯვნელ დაწესებულებათა მიწათმოქმედების სამინისტროსადმი გადაცემის შესახებ.

4 დამტკიცება 10 მილიონიან ფონდიდან 7.442.522 მ. 44 კ. ხარჯისა და 10 მილიონიან ფონდის შევსება.

5. კანონპროექტი შინაგან საქმეთა სამინისტროსთან კონტრ-რევოლუციის, სპეკულიაციის და ძარცვა-გლეჯის წინააღმდეგ საბრძოლველად საგანგებო რაზმის დაარსების შესახებ.

6. კანონ-პროექტი მილიციის მოსამსახურეთა ჯამაგირის გადიდების შესახებ.

7. კანონ-პროექტი საგუბერნიო, საოლქო და სამაზრო ადმინისტრიციის გაუქმების შესახებ.

8. კანონ-პროექტი სასოფლო მილიციის დაარსების შესახებ.

9. კანონ-პროექტი უკვე არსებულ მფრინავ რაზმთა შტატების გადიდების შესახებ.

10. კამათი გრიგოლ ვეშაპელის შეკითხვის გამო საჩხერის ამბების შესახებ.

თავმჯდომარე. სიტყვა ეკუთვნის საბჭოს წევრს არსენიძეს.

რ. არსენიძე. კანონი გზათა სამინისტროსათვის ავანსად ერთ მილიონ მანეთის მიცემისა შავი*) ზღვის რკინის გზის სალიკვიდაციო ხარჯების გასაწევად. აქ მხოლოდ ზოგიერთი სიტყვები გადავსხ-გადმოვსხით და შემდეგ ასეთი ხასიათი მიიღო (კითხულობს კამონს.*)

მეორე კანონი, კანონი ოფიციალურ განცხადებათა დაბეჭვდის შესახებ. აქაც წმინდა გრამატიკული შესწორებანი შევიტანეთ. ამ ბოლოს ჩაუმატეთ იმ ორგანოს სახელი, რომელშიაც უნდა იბეჭდებოდეს ოფიციალური განცხადებანი, რომელიც უკვე გამოდის.

ამ კანონის საბოლოო ტექსტი ასეთია (კითხულობს:)

თავმჯდომარე. შემდეგი საკითხი: განხილვა კანონპროექტისა ამიერ-კავკასიის გამიჯვნელ დაწესებულებათა მიწათ მოქმედების სამინისტროსადმი გადაცემის შესახებ. მომხსენებელია საბჭოს წევრი ივანიცკი.

(შემდეგი იქნება)

## პრესის მიმოხილვა.

ნიკოლოზ მე II-ის მკვლელობის გამო, გაზ. „ედინენიე“, რომელშიაც თავი მოუყრია ყოფილ რუსულ კანცელარიაებში მოსამსახურე მოხელეებს, სწერს: „რაც უნდა იყოს ის კაცი (ნიკოლოზ II-ე) მთელი რუსეთის სიმბოლო იყო; ერთი მისი შეხედვა ადამიანებს აბედნიერებდა და ბრბო მთელი საათობით ელოდებოდა, რომ მისთვის ერთხელ მაინც თვალი მოეკრა და სხ“. ჩვენ რა თქმა უნდა არ ვიზიარებთ ასეთ შურისძიებას და მკვლელობას, მაგრამ „ედინენიეს“ მიერ ნიკოლოზ მე-II-ის, როგორც რუსეთის სიმბოლოს და გამაბედნიერებელის აღიარება, საუკეთესო დამახასიათებელია თვით „ედინენიეს“ უბადრუკი სულის ჩამდგმელებისათვის.

* * *

„ალიონი“ სწერს:

„არც ჩვენი მთავარი პარტია იზიარებს დაშნაკელთა ორიენტაციას და ბოლშევიკთა და ინგლისელთა შუა ქანაობას, მაგრამ სომხის ერის წინააღმდეგ ის არ გადადგამს ამის გამო არავითარ ნაბიჯს, თუმცა კარგათ ესმის, რომ ასეთი ორიენტაცია სომხობისა ქართველ ერისათვის ფრიად მაზარალებელია დღეს. ქართველმა დემოკრატიამ პირიქით დაამტკიცა, რომ ვერავითარი მტრული განწყობილება დაშნაკელებისა ვერ შეაცვლევინებს მას თავის გზას და ის მუდამ მზათ იქნება სომხის ერს ხელი გაუწოდოს, მასთან კავშირი განამტკიცოს.

ქართველი დემოკრატიის გულწრფელი სურვილია, სომხის ერი წელში გაიმართოს, აღდგეს, იკმაროს ამდენი ტანჯვა-წამება, ამდენი ხნის პირი ლხინათ შეეცვალოს და სახელმწიფოებრივ მოეწყოს. ჩვენ შემდეგშიაც გავილებთ და არ შევუშინდებით არავითარ მსხვერპლს სომეხი ერის საკეთილდღეოთ, ხოლო სომხის დემოკრატიამ უნდა შეიგნოს ერთხელ და სამუდამოთ, რომ ჩვენ ავაშენებს კავშირი და სოლიდარობა, მტრული განწყობილება და ორმოს თხრა კი დაგვღუპავს“.

კარგი იქნებოდა, რომ ეს შეიგნოს არა მარტო სომხის დემოკრატიამ, არამედ თვით დაშნაკელებმა, რომლებიც თავიანთ მოქმედებით თვალებს უხვევენ სომხის დემოკრატიას და ამით გაუვალ ორმოს სთხრიან სომხებსა და ქართველებს შორის.

* * *

კადეტების ორგანო „ნაროდნაია სვობოდა“ სწერს:

„საქართველოს ეროვნული საბჭო, რომელმაც მიითვისა სახელმწიფო პარლამენტის ყველა უფლებები, განსაცვიფრებელ კანონების უხვი მოწყალე გამოდგა. სიკვდილით დასჯის კანონის შემოღების და კონტრ-რევოლიუციასთან საბრძოლველ რაზმის დაარსების შემდეგ გამოქვეყნდა ქვეშევრდომობის კანონი: ამ კანონებს ახასიათებს პიროვნების ყველა უფლებების შელახვა. ეს კანონი მთლად შეურაცხჰყოფს მე-19 საუკუნის კულტურულ მონაპოვართ“.

ჩვენ არ გვიკვირს, რომ ეროვნულ საბჭოს მიერ მიღებული კანონები „უცნაურ“ კანონებად მიაჩნიათ რუსის კადეტებს და ყოველ კანონზე დაუსრულებელ განგაშს ასტეხენ ხოლმე. ეს მოწმობს იმას, რომ ჩვენი კანონები მიმართულია საქართველოს დამოუკიდებლობის განმტკიცებისკენ, მიზნად ისახავენ მის სუვერენიტეტის შენარჩუნებას—ეს კი მეტად აწუხებს ჩვენ დამოუკიდებლობის წინააღმდეგ ამხედრებულ მტრებს. ყველა მიხვდება მათ გულის თქმას. მაგრამ იმაში კი ვერავის დააჯერებენ, თითქოს, მე-19 საუკუნეში მოპოვებულ კულტურულ ღირებულებათა დაცვა მხოლოდ მათ ჰქონდეთ მინდობილი.

არ იკითხავთ, მაშ რამ გაამწარა კადეტები ასე?

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მოქალაქეობის დებულება გვამცნობს:

1. ყოველი მკვიდრი მცხოვრები საქართველოს რესპულიკისა, არის საქართველოს მოქალაქე.

შენიშვნა: მკვიდრი ეწოდება იმას, ვინც მიწერილია რესპუბლიკის ტერიტორიის რომელსამე ადმინისტრატიულ ერთეულზე 1914 წ. ივლისის 19. (ძვ.სტ.) და 2. საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეს არ შეუძლია იყოს იმავე დროს მოქალაქედ სხვა სახელმწიფოსი.

აი მიზეზი კადეტების აღელვებისა.

„დაე ინტერნაციონალისტი წერეთელი, ჩხეიძე და ჟორდანია დასტკბენ თავიანთ მხატვრულ ქმნილებით, ამ მშვენიერ ბავშვით (გულისხმობენ საქართველოს რესპუბლიკას). მაგრამ განა მათ აქვთ უფლება რომ „საქართველოს ტერიტორიის რომელიმელიმე ერთეულზე 1914 წ. ივნისის 19 გაწერილ მოქალაქეს ისე უყურონ, როგორც ყმებს? იმპერიალისტურ ქვეყნების კულტურულ განძად ითვლება ორი საერთაშორისო უფლებრივი ინსტიტუტი—პლებისციტის და ქვეშევრდომობის არჩევის უფლება“.

ყველა ეს კარგად მოეხსენებათ საქართველოს ეროვნულ საბჭოს წევრებს, და ნუ ჰგონია „ნაროდ ნაია სვობოდა-ს“ ამით ვისმე ასწავლოს რამე. მაგრამ ეროვნულ საბჭომ ისიც იცის, რომ „ნაროდნაია სვობოდა-ს“ სულის ჩამდგმელებს უმთავრესათ ჩვენი სახელმწიფოს მოსპობა აინტერესებთ და ქვეშევრდომობასაც ამ თვალით უყურებენ. თვარა მოქალაქეობის კანონში რა არის მიუღებელი პატიოსანი მოქალაქისთვის? ის მაგალითი, რომ ინგლისმა იონიის კუნძულები საბერძნეთს პლებისციტით გადასცა აქ მოსაყვანი არ არის, ბათუმის ოლქის მწარე მაგალითით ვიცით, თუ რას ნიშნავს ასეთ არანორმალურ პირობებში პლებისციტით რომელიმე ოლქის ბედის გამორკვევა. მაგრამ ვარწმუნებთ „ნაროდნაია სვობოდა-ს“ გარშემო თავმოყრილ რუსობას—ჩვენ რომ ინგლისელები ვყოფილიყავით და მათ იონიის კუნძულებზე ეცხოვრათ უპლებისციტოდ უდაოთ გადავცემდით ბერძნებს. მაგრამ ჩვენი მდგომარეობა სულ სხვანაირია. ის შავრაზმელი რუსობა, რომელიც კბილებს ილესს ჩვენს დამოუკიდებლობაზე იონიის კუნძულებზე კი არ ცხოვრობენ, არამედ თბილისში დაიარებიან და ახალ-ახალ გეგმებს ადგენენ ჩვენ სავნებლად.

## დეპეშები.

### ომი.

დასავლეთის ფრონტი.

ბერლინი. მკათათვის 27. კრონპრინც რეპრესტის ლაშქარი. სკარპის ორივე მხარეზე ღამით სამხედრო მოქმედება გაძლიერდა. ინგლისელთა ქვეითა ჯარებს უშედეგო იერიშები მოჰქონდათ.

გერმანელ კრონპრინცის ლაშქარი. სუასონისა და რეიმსის შუა საღამოთი სამხედრო მოქმედება შესუსტდა. შამპანში პერტის ორივე მხარეზე მტრის იერიშები მოვიგერიეთ.

ჰერცოგ ალბრეხტის ლაშქარი. ვოგეზში და ზუნდგალეში ჩვენი მზვერავნი მარჯვედ მოქმედობენ

პალესტინის ფრონტი.

სტამბოლი. მკათათვის 27. ჩვენმა მფრინავებმა იერიში მიიტანეს მტრის საავიაციო ბანაკზე იმბროსში. ჩაყარეს 700 კილოგრამი ასაფეთქებელი მასალა. მივაყენეთ საგრძნობი ზიანი. ჩვენი ესკადრონი უვნებლად დაბრუნდა. მტრის ჰაეროპლანები სტამბოლზე იერიშის მიტანას შეეცადნენ, მაგრამ ამაოდ. რამდენიმე ყუმბარა მხოლოდ ქალაქის მახლობლად ჩამოყარეს, ზარალი არ მიუყენებიათ.

დასავლეთის ფრონტი.

ბერლინი. მკათათვის 27 საღამოს ცნობა. დღეს ფრონტზე სიწყნარე იყო.

ბერლინი. მკათათვის 28. რუპრეხტის ლაშქარი. მონდიდიერთან მტრის იერიშები მოვიგერიეთ. ფრონტის დანარჩენ უბნებში საარტილერიო მოქმედებაა.

გერმანელ კრონპრინცის ლაშქარი. შამპანში ფიხტელბერგიდან სამხრეთით მტერმა წინ წამოიწია. კონტრ-იერიშით მტერი მოვიგერიეთ.

პალესტინის ფრონტი.

სტამბული. მკათათვის 28. იერუსალიმ თაბავლუსის გზის ჩრდილოეთით გუშინ მტერზე დიდი იერიში მივიტანეთ. მათთან ბრძოლაში გავიმარჯვეთ. შარდუნთან მტერი გავფანტეთ. მინდვრები აჯანყებულთა გვამებით მოვფინეთ.

*) ეროვნულ საბჭოს მიერ მიღებული კანონები საბოლოო რედაქციით ცალკე დაიბეჭდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

### საფრანგეთის ცნობა.

პარიზი, მკათათვის 28. მარნის ჩრდილოეთით ფრანგები განაგრძობენ წინსვლას მდინ. ურკის მიდამოებით. ფრანგები მდინარის ჩრდილო ნაპირზე გადავიდნენ. რისის ტყის ჩრდილოეთით ფრანგებმა შამბლუაზს მიაღწიეს. მარჯვენა ფრონტზე ფრანგებმა დაიპყრეს ანტენი, ოლიდი-ვოილენი და მიუახლოვდნენ რეიმს-ტერმონტის გზას.

### ბრძოლა ზღვაზე.

ვენა. მკათათვის 25. ოტრანტოსთან ანპანიპიკულოს მახლობლად მდგარ ჰიდროპლანებზე ჩვენმა ჰიდროპლანებმა სასტიკი იერიში მიიტანეს. ჰაერდროშები შევმუსრეთ. ჩვენი ჰაეროპლანები უვნებლად დაგვიბრუნდნენ.

### უცხოეთი.

### კერენსკი პარიზში.

გაზ. „ცეიტუნგ“-ს პარიზიდან აცნობებენ, რომ კერენსკი, თავისი მდივნის თანხლებით სადგურიდან პირდაპირ რუსეთის მისიის სადგომში მივიდა, სადაც მაკლაკოვს დიდხანს ებაასა. ბაასში მონაწილეობას იღებდა სოციალისტი დეპუტატი მუტიე. მდივანმა „ჰავასის“ სააგენტოს განუცხადა, რომ კერენსკი მთელი ეს დრო სულ უზრუნველყოფილი იყო მოსკოვის და პეტროგრადში მყოფ მეგობრების წყალობით.

### იაპონია და ციმბირი.

ტოკიო. (რაიტერის სააგენტო) მკათათვის 25 საგანგებო სხდომაზე სახელმწიფო საბჭომ, რომელსაც თვით იმპერატორი თავმჯდომარეობდა მოიწონა ის ზომები, რომლებიც უნდა მიიღონ ციმბირში. დროებითმა მთავრობამ ჩააბარა მოკავშირეთ ნოტა, რომლითაც სთხოვს მოახდინონ შეერთებული გამოსვლა ციმბირში.

### ბავარიის პალატაში.

ბავარიის სამხედრო მინისტრმა ბავარიის პალატაში სამხედრო მდგომარეობის შესახებ მსჯელობის დროს სთქვა: ჩვენ ნედლი მასალა გვეყოფა მანამდის, სანამდისაც კი მტრები ჩვენთან ომის წარმოებას მოისურვებენ. თუ ზოგიერთი მასალა, მაგ. ლითონი შემოგვაკლდა, ჩვენ სხვას ვიშოვნით. სამშობლოს დასაცავად ჩვენ გვაქვს თავზე საყრელი ყველა ნაირი იარაღი. ჩვენ გვექნება ძლიერი შინაური ფრონტი. მტრის გეგმების ცოდნა წინააღმდეგობის სურვილს გვიასკეცებს. ჩვენ გვწამს გერმანეთის სასიცოცხლო ინტერესებს დავიცავთ“. მოხსენება სამხედრო მდგომარეობის შესახებ ერთხმად იქმნა მოწონებული.

### ომის გამოცხადებას ცდა გერმანეთთან.

ბერლინი. თან და თან ირკვევა რომ მირბახის მკვლელობას და იმავე დროს რუსეთის სხვა და სხვა ქალაქებში ბოლშევიკების წინააღმდეგ მომხდარ აჯანყებას ერთი და იგივე მიზანი ჰქონდა, სახელდობრ: ომის განახლება გერმანეთთან. მირბახის მკვლელობა მოხდა მკათათვისს(?). ამავე დროს იაროსლავში დაიწყო აჯანყება. ამ დროს აქ მოსულიყო: სერბიელი მაიორი და შეთანხმების სახელმწიფოთა ორი ოფიცერი.

მკათათვის 6-ს შუადღისას, აქვე მოვიდა 106 კაცი—„ჩრდილოელი მოხალისენი“. იაროსლავში თეთრ გვარდიელები აცხადებდნენ, რომ ისინი ომს აწარმოებენ გერმანეთთან. შეიპყრეს გერმანელთა მზრუნველობის კომისია და მის მზრუნველობის ქვეშ მყოფი 2 ათასი გერმანელი ტყვე. როდესაც თეთრი გვარდია დარწმუნდა, რომ მან საქმე წააგო იარაღი აიყარა და გერმანელ ოფიცერ-ლეიტენანტ ბალკს ჩააბარა. ცნობილი მურავიოვი იყო ავანტიურისტი და მექრთამე. შეთანხმების სახელმწიფოთ შესძლეს მურავიოვის შესყიდვა. მურავიოვი ქადაგობდა არა მარტო ჩეხელთ და სლოვაკებთან შეერთებას, არამედ გერმანეთთან ომის გამოცხადებას.

# ახალი ამბები.

✦ სასურსათო მინისტრის მოხსენების თანახმად, შესახებ პურის ვაჭრობისა და შეზიდვა-გაზიდვისა, საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებში, მთავრობამ დაადგინა: 1) ხორბლისა შემოტანა საზღვარ გარეთიდან უნდა მოხდეს უბაჟოთ, გატანა კი ხორბლისა საზღვარ-გარეთ აკრძალულია; 2) ყველა სასურსათო კომიტეტები ამ დადგენილების გამოცხადების შემდეგ გაუქმებულ არიან და არა აქვთ მათ უფლება არავითარი განკარგულებათა გაცემისა; 3) სასურსათო სამინისტროს ეკისრება მოახდინოს ლიკვიდაცია საგ. სასურსათო კომიტეტისა 1 თვის განმავლობაში, სხვა დანარჩენ კომიტეტის ლიკვიდაცია კი მოახდინოს 1 კვირის განმავლობაში; 4) შინაგან საქმეთა და სასურსათო საქმეთა მინისტრს ევალება ენერგიული ბრძოლა გაუწიოს სპეკულიაციებს და საქონლის დამფარავთ: მოახდინოს კონფისკაცია დამალულ საქონელისა და დამნაშავენი კანონიერ პასუხისგებაში მისცენ; 5) გზათა, შინაგან და სასურსათო საქმეთა მინისტრებს მიენდოთ მიიღონ სწრაფი ზომები ამ დადგენილების ცხოვრებაში გასატარებლად; 6) სასურსათო საქმეთა მინისტრს დაევალა შეადგინოს და წარმოადგინოს შემდეგ კრებისათვის სხვა დანარჩენ საქონლის შეზიდვა-გაზიდვის პროექტი.

✦ სახელმწიფო მოსამსახურეთა კავშირმა მიმართა მთავრობას თხოვნით, რათა მათ კავშირის წარმომადგენელთ დაეთმოთ ადგილები სხვა და სხვა კომისიებში, სადაც იხილავენ საკითხს სახელმწიფო დაწესებულებათა რეორგანიზაციის შესახებ.

✦ ქალაქის გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა მთავრობის წინაშე, 200 ათას მანეთის გაღების შესახებ, სათადარიგო ჯარისკაცთა ოჯახების დახმარების აღმოსაჩენათ აპრილისა და მაისის თვეების ანგარიშში, ვინაიდან ესეთი დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ არ არის გაუქმებული.

✦ სამხედრო ტყვეები. თბილისში ჩამოვიდნენ ავსტრო-უნგრეთიდან სამხედრო ტყვეები 60 კაცი, რომელნიც თავის სამშობლოში ყაზანის გუბერნიაში მიემგზავრებიან.

✦ ერევნიდან ჩამოსულები გადმოგვცემენ, რომ ის ხმები, ვითომც ანდრანიკე მიდის ბაქოს მიმართულებით ტყუილია. იგი ამ ჟამად ნახიჩევანშია. რადიოს შემწეობით მან გადასცა ოთხთა სახელმწიფოთა შეთანხმებას, რომ მან ნახიჩევანის ოლქი გამოაცხადა რუსეთის რესპუბლიკის ნაწილად და ამნაირ თვალსაზრისით იმოქმედებს.

✦ ქართულ ტეხნიკურ საზოგადოების კრება. სამშაბათს, 30 ივლისს, ფრეილინის ქუჩაზე, № 11, საღამოს 8 საათზე შესდგება ქართულ ტეხნიკურ საზოგადოების კრება, რომელზედაც ინჟ. ვ. კაკაბაძე განაგძობს თავის მოხსენებას შემდეგ თემაზე: „ქიმიური მრეწველობის განვითარების საკითხი ჩვენში“; შემდეგ გაირჩევა მიმდინარე საკითხები.

✦ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასთან არსებულ სომხურ დიპლომატიურ მისიას ატყობინებენ, რომ სომხურ ეროვნულ საბჭოს წევრები ჩავიდნენ ერევანში 10 ივლისს, საღამოს ერევანში საბოლოოდ შესდგა სომხეთის რესპუბლიკის მთავრობა, და ამ დღეებში გაიხსნება პარლამენტი, რომლის წევრთა რიცხვი უნდა გასამდეს. პარლამენტში სრულ უფლებიან წევრებად შევლენ აგრეთვე სხვა ეროვნებათა წარმომადგენლებიც პროპორციონალური პრინციპის მიხედვით.

✦ სურსათის საქმის სამინისტრო შეუთანხმდა პურის პატრონებს ადერბეიჯანში, რომ იქიდან სამინისტროს გამოუგზავნოს პურის მოსავალი ახლო მომავალში; უპირველესად გაგზავნილი იქნება გურიის დამშეულ ადგილებში.

✦ თერგის მთავრობა კატეგორიული უარით უპასუხებს შინაგან საქმეთა მინისტრს კავკავით ლტოლვილების გაშვებაზე. ამის გამო სამინისტრომ სასწრაფოდ შეატყობინა სიღნაღში, ხაშურში და მცხეთაში შეაჩერონ ლტოლვილთა მგზავრობა.

✦ ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი გ. დ. ჟურული გაემგზავრა ფოთში, ადგილობრივ ზოგიერთი საორგანიზაციო და საადმინისტრაციო საკითხების გამოსარკვევად.

✦ გარეშე საქმ. მინისტრის განკარგულებით პ. ა. სურგულაძე დანიშნულია საქართველოს და გერმანიის შუა საქონლის გამცვლელ კომისიის წევრად, როგორც გარეშე საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი.

— ქართულ-გერმანულ სავაჭრო პალატის წევრთა საერთო კრებაზე არჩეულ იქნა პალატის საბჭო. ამორჩეული არიან: კ. ნ. აბხაზი, ე. ა. ვაკანო, რ. კ. დათეშიძე, ა. გ. ჯაბადარი, გ. გ. ევანგულოვი, ნ. პ. იოსელიანი, რ. კ. კაიზერი, ა. ა. ქავთარაძე, ი. მ. ლორთქიფანიძე, ო. გ. მაზმანოვი, ი. მ. ფაღავა, მ. ა სუმბათაშვილი, ა. ნ. სეილანოვი, პ. ი. სოსინი; ვ. ო. ტერ-ზახაროვი, ნ. ე. წერავა, ა. მ. ხოშტარია, გ. გ. შადინოვი, ი. მ. შტრანგ. საბჭოს პრეზიდიუმში ამორჩეულია თავმჯდომარედ ა. მ. ხოშტარია, თავმჯდომარის ამხანაგებად კ. ნ. აბხაზი, გ. გ. ევანგულოვი, მ. ა. სუმბათაშვილი და ა. ნ. სეილანოვი. საბჭოს საქმეთა მართველად ა. დ. ქორქია.

✦ ამ დღეებში გერმანიაში მიდის მ. ა. სუმბათაშვილი, რომელსაც მთავრობამ დაავალა: გერმანიის ვაჭრობა-მრეწველობის წრეებს გააცნოს საქართველოს ეკონომიური მდგომარეობა; გამოარკვიოს ადგილობრივ გერმანიის ბაზრის მდგომარეობა, საქართველოს და გერმანიის შუა საქონლის გაცვლის პირობები და დააწესოს ბერლინში გერმანულ-ქართული სავაჭრო პალატა, რომელიც ხელს შეუწყობს ორივე სახელმწიფოს ეკონომიურად დაახლოვებას ვაჭრობა-მრეწველობის ინტერესების ნიადაგზე.

✦ ამიერ-კავკასიაში მყოფ უკრაინის რადის მონაწილეობით შესდგა უკრაინის ვაჭარმრეწველთა კავშირი „სპოჟივაჩ“-ის სახელით. კავშირის დამაარსებელთ მიზნათ აქვთ პირველ რიგში დააყენონ უკრაინის პურით, შაქრით და სხ. სურსათით ვაჭრობა. კავშირის აგენტები ამ დღეებში მიდიან უკრაინაში პურის და სხვა სურსათის საყიდლად.

✦ გზათა სამინისტროში საექსპედიციო განყოფილების უფროსის ტოლსტონოგოვის თავმჯდომარეობით შესდგა კომისის მეორე სხდომა ჭიათურიდან შავი ქვის გატანის ტარიფის მომატების შესახებ. დადგენილ იქნა ტარიფი გადიდდეს 44 კაპეიკამდე ფუთზე. შავი ქვის მრეწველთა საბჭოს წარმომადგენელმა, რომელიც პრინციპიალურად წინააღმდეგი არ იყო ტარიფის გადიდებისა, განაცხადა, რომ შავი ქვის მრეწველთა საბჭო ტარიფის გადიდების შესახებ მისცემს პასუხს რამოდენიმე დღის განმავლობაში.

✦ იუსტიციის მინისტრის ბრძანებით, საქართველოს რესპუბლიკის ადგილობრივ სასამართლოს რეფორმის განხორციელებამდე, გრძელდება ვადა იმ საპატიო მომრიგებელ მოსამართლეთა რწმუნებულობისა, რომელნიც ამ სამი წლის განმავლობაში ითვლებოდნენ ამ თანამდებობაზე თბილისის და ქუთაისის გუბერნიების საოლქო სასამართლოებში.

✦ ხოლერა. უკანასკნელ დღეებში ქალაქის საავადმყოფოში, ქალაქის სხვა-და-სხვა ნაწილებიდან მოიყვანეს 8 ხოლერიანი და 6 ხოლერის ნიშნებით ავადმყოფი. მოკვდა 9, გარდაიცვალა 6. 27 ივლისში სულ იყო 161 ხოლერიანი და 25 ხოლერის ნიშნებით.

✦ სასურსათო სამინისტრომ კერძო პირებს ფქვილის ჩამოტანის ნება დართო გომის რაიონიდან (გორის მაზრა) და კახეთიდან. ბორჩალოს მაზრიდან პურის ჩამოტანა ისევ აკრძალულია.

✦ სოფ. ქვემო მაჩხაანიდან საგუბერნიო კომისარს ატყობინებენ, რომ იქ აღმოჩნდა 6 ხოლერით ავადმყოფი.

✦ შირაქის რაიონში ადგილობრივ მცხოვრებთა და ლტოლვილთა შორის ვრცელდება ხოლერა. ხოლერის გავრცელებას ხელს უწყობს სპეკულიანტები, რომლებიც ყიდიან ხოლერით გარდაცვალებულების ტანისამოს. სანიტარულმა რაზმმა დაასაფლავა ლტოლვილთა რამოდენიმე ცხედარი. დედოფლის წყაროსთან 15.000 ლტოლვილია თავმოყრილი.

✦ სახალხო უნივერსიტეტის გამგეობა მომავალ კვირიდან ქ. ხაშურში ჰხსნის თვის განყოფილებას, რომლისთვისაც ქალაქის იქაურ თვითმართველობამ დაუთმო სახლი ბაღით. ლექციებს წაიკითხავენ თბილისელი ლექტორები,

✦ დიპლომატიურმა წარმომადგენელმა სომეხთა რესპუბლიკისა არშ. ჯამალიანმა განუცხადა პრესის წარმომადგენელს, რომ მისიაში არავითარი ცნობა არ შემოსულა ანდრანიკის რაზმის გამოლაშქრების შესახებ ქ. ბაქოში.

✦ გენ. ფონ-კრესი ინახულა სომეხთა რესპუბლიკის დიპლომატიურმა წარმომადგენელმა ა. ჯამალიანმა, რომელსაც დიდი ხნის თათბირი ჰქონდა ლტოლვილთა და სხვა საქმეთა შესახებ.

✦ სომეხთა დიპლ. მისიას სტამბოლიდან დეპეშით ატყობინებს თვმჯდომარე სომეხთა დელეგაციისა ა. აგარონანი, რომ კონფერენცია 2 კვირით გადიდო.

✦ შეიპყრეს: სალდათი ქართულ ესკადრონისა ლ. გამცემლიძე, უხეშ პასუხისთვის; პოდპორუჩიკი ვ. დეკანოზიშვილი, მოქმედებით შეურაცყოფისთვის; დრაგუნი ქართულ ესკადრონისა ი. ბებურაშვილი, ხორცის ქურდობისათვის და შტ.-კაპ. ნოვიკოვი მყუდროების დარღვევისათვის.

✦ სახალხო კონსერვატორია. მთავარი გამგეობა სახალხო უნივერსიტეტისა მომავალ წლიდან ხსნის სახალხო კონსერვატორიას და ტეხნიკუმს. სათავეში კომპ. ლ. ი. სამინსკია მიწვეული,

✦ საქონლის გაცვლა გამოცვლის კამიტეტმა დაადგინა შეადგინოს შერეული კამასია ქართველ-გერმანელთაგან ყველა საკითხების შესახებ, რომელიც შეეხება გერმანიასა და საქართველოს შუა საქონლის ვაჭრობას. ამ კამისიაში მოჰყნენ ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის ამხანაგი გ. კ. ნიკოლაძე, ვაჭრებისაგან ა. გ. ჯაბადარი და კოოპერატორებისაგან გოგებაშვილი.

✦ სააგარაკო საქმე. ა. ს. ფირალოვის თავმჯდომარეობით შესდგა კრება ცენტრალურ სამიწადმოქმედო გამგეობის წარმომადგენელთა და საავარაკო საზოგადოებისა საგარაკო საქმის მოსაწყობათ საქართველოში. კრებამ საჭიროდ დაინახა საქმის საკეთილდღეოთ მიწის საკითხის მოწესრიგება. შემდეგ არჩეულ უნდა იქმნეს კომასია, რომელიც გაიგზავნება ადგილობრივ სამკურნალო და ტალახიან ადგილების ასაწერათ. მომავალ კრებისთვის, რომელიც კვირას 4 აგვისტოსაა დანიშნული, საავარაკო საზოგადოების თავმჯომარეს ფეხნერს წინადადება მიეცა წარმოადგინოს სია საავარაკო ადგილებისა საქართველოში

✦ გადამდები სენი სოფლად. ს. ნიჩბისიდან, (გორის მაზრ). ატყობინებენ მუშათა და სალდათთა დეპუტატ სასოფლო კომისიას, რომ იქ ვრცელდება გადამდები სენი. კომისია ჰგზავნის ექიმებს.

✦ წიგნის შეძენა. მუშათა და სალდ. დეპ. სასოფლო კომისია წიგნთ-საცავსა ხსნის.

✦ თბილისში ჩამოვიდა თავმჯთომარე სახალხო გვარდიის მთავარ შტაბისა ვ. ა. ჯუღელი, რომელმაც განუცხადა პრესის წარმომადგენელს, რომ თერგის სახალხო საბჭომ მთლიანად მიიღო ულტიმატუმი საქართველოს რესპუბლიკისა. სადაო საკითხათ მხოლოდ ტყვეთა განთავისუფლება იყო, მდგომარეობა ბოლშევიკებისა კავკავში როგორც ჯუღელმა გადმოსცა უნიადაგოა.

✦ ალექსანდროპოლიდან ჩამოვიდა მეორე წყება იქაურ მცხოვრებთა. გირვანქა პური იქ თურმე 60 კაპ. ფასობს.

✦ რუსეთის განყ. კავკ. სატეხნიკო საზოგადოების გამგეობამ დადგინა: ნახევარ საუკუნის საიუბილეო ღლის აღსანიშნავად, მოაწყოს მუნიციპალურ მეურნეობის განყოფილება.

✦ სავაჭრო სახლის „კომერსანტი-ის რწმუნებულებმა ნ. ი. ყანჩელმა გ. ი. მაღალაშვილმა, ს. გ. მაზმანოვმა, სამთო ინჟ. გ. ა. პაპავამ და ლ. ა. ჩიკავამ პირობა შეჰკრეს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასთან, როგორც კონტრაგენტებმა, რომელთაც უნდა მოიტანონ უკრაინიდან 6 მილიონი ფქვილი და ხორბალი. ზემო აღნიშნულ პირთ ეძლევა აგრეთვე უპირატესობა საქართველოდან სხვა და სხვა საქონლის გაზიდვის შესახებ გერმანიასა, რუმინიასა და უკრაინაში.

ტფ. მაზრის აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი, რომელიც აწარმოებს საერთო არჩევნებს მაზრაში, ამიერ-კავკასიის ერობის დაწესებულებ. დროებ. დადგენ. მე-77 მუხ. ძალით ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ ყარაიაზის ოლქიდან წარმოდგენილია ორი კანდიდატთა სია საერთო ხმოსნების არჩევნებისათვის: პირველი სია — სოც-დემოკრატიულ მუშათა პარტიის შეთანხმებით „გუმეტ“-თან და მეორე — უპარტიო.

### სია შეთანხმ. სოც.-დემ. მუშათა პარტ. „გუმეტ“-თან.

| №№ რიგ-რიგ | გვარი, სახელი და მამის სახელი | წლოვანობა | რა ხელობისაა ანუ რა სამსახურ. | სადა სცხოვრობს |
|---|---|---|---|---|
| 1 | ზოდელავა, ივანე ანტონის ძე | 33 | მრეწველი | სადგ. ყარაიაზი |
| 2 | ალლახვერდი მამედოვი | 30 | სახალხო მასწავლ. | სურამი |
| 3 | ალი გუსეინ ოღლი | 40 | მეურნე | აგტაკლია |
| 4 | ალლახვერდი აჯი ოსმან ოღლი | 50 | „ | ქესალო |
| 5 | აბას გუსეინ ოღლი | 40 | „ | კარა-ტაპა |
| 6 | კარა ისმაილ ოღლი | 35 | „ | ნაზარლო |
| 7 | ციცქიშვილი გიორგი | 25 | სახალხო მასწავლ. | ყარაიაზი |

### უპარტიოთა სია

| №№ რიგ-რიგ | გვარი, სახელი და მამის სახელი | წლოვანობა | რა ხელობისაა ანუ რა სამსახურ. | სადა სცხოვრობს |
|---|---|---|---|---|
| 1 | პარი ხანუმ სოფიევი | 34 | მოქალაქე | კარაჯალო |
| 2 | ლოლაძე, ევსტაფი ივანეს ძე | 40 | მეურნე | ტფილისი |
| 3 | მაშადი ადი კულიევი | 48 | მღვდელი | „ |
| 4 | კახაბერი დავით გრიგორის ძე | 54 | მიწისმზომელი | „ |
| 5 | მაშად აბდულ მაშ მუსტაფ ოღლი დჟანდარ | 48 | | „ |

თბილისის მაზრის აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი

სტამბა საქართველოს მთავრობისა.

რედაქტორი პ. დ. საყვარელიძე.